ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/03-18
"04" 01 2018 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე დადგენილება
№შ-1/18
(მშენებლობის შეჩერების შესახებ)

04.01.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე **მოქ. ზურაბ აზარიაშვილის** (პირადი: №01012003033, მის: ქ. თბილისი, სევანის ქ. №10) მიერ ქ. თბილისი, სევანის ქ. №10, №01.17.01.073.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით მიმდინარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის შეჩერების საკითხი და გამოვარკვიე:

ქ. თბილისი, სევანის ქ. №10, №01.17.01.073.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, **მოქ. ზურაბ აზარიაშვილის** მიერ მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-თ გათვალისწინებული ნორმების დარღვევით, კერძოდ მშენებლობის პროცესში ჩამოიშალა ფერდი და ჩამოინგრა, მომიჯნავედ, სევანის ქ. №6-ში, №01.17.01.073.016 საკადასტრო კოდზე არსებული სახლის კედელი.

საქმეშია სამსახურის სპეციალისტის 2018 წლის 4 იანვრის მოხსენებითი ბარათი; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 2018 წლის 4 იანვარს, **მოქ. ზურაბ აზარიაშვილის** მიმართ, ქ. თბილისი, სევანის ქ. №10, №01.17.01.073.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით სამშენებლო სამუშაოების (ჩამოიშალა ფერდი და ჩამოინგრა, მომიჯნავედ, სევანის ქ. №6-ში, №01.17.01.073.016 საკადასტრო კოდზე არსებული სახლის კედელი) განხორციელებისთვის გაიცა №003241 მითითება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე **მოქ. ზურაბ აზარიაშვილის** მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 49-ე მუხლის „ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, "თუ მშენებარე ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორება შეუძლებელია მშენებლობის შეჩერების

გარეშე, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას მშენებლობის შეჩერების თაობაზე".

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-12 ნაწილით

დავადგინე:

1. შეჩერებულ იქნეს, **მოქ. ზურაბ აზარიაშვილის** მიერ, ქ. თბილისი, სევანის ქ. №10, №01.17.01.073.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით მიმდინარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა.

2. დადგენილება ძალაშია დარღვევის გამოსწორებამდე (2018 წლის 4 იანვრის №003241 მითითებით განსაზღვრული პირობების შესრულებამდე);

3. განემარტოს სამართალდამრღვევს რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 51-ე მუხლის "ა" ნაწილის შესაბამისად, მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე **მ. ჯაყელი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ᲓᲗ86 - 18

"26" 03 2018 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე დადგენილება
№შ-1/18-2
(მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების
ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე)

26.03.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე, **მოქ. ზურაბ აზარიაშვილის** (პირადი №01012003033, მის.: ქ. თბილისი, სევანის ქუჩა №10) მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ, 2018 წლის 04 იანვარს მიღებული №4-1/დ3-18 №შ-1/18 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის, 2018 წლის 04 იანვარს მიღებული №4-1/დ3-18 №შ-1/18 დადგენილებით, შეჩერებულ იქნა, მოქ. ზურაბ აზარიაშვილის მიერ, ქ. თბილისში, სევანის ქ. №10, №01.17.01.073.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით მიმდინარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, დარღვევის გამოსწორებამდე (სამსახურის №003241 04.01.2018წ. მითითებით განსაზღვრული პირობების შესრულებამდე).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის, 2018 წლის 26 მარტის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ობიექტის განმეორებით გადამოწმებისას დადგინდა, რომ მოქ. ზურაბ აზარიაშვილის მიერ შესრულებულია №003241 04.01.2018წ. მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამისად, მხარის მიერ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმის გარემოებების სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად დასტურდება, რომ აღმოფხვრილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-12 ნაწილით

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

განსაზღვრული საფუძვლები (თუ მშენებარე ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორება შეუძლებელია მშენებლობის შეჩერების გარეშე, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას მშენებლობის შეჩერების თაობაზე), კერძოდ მშენებარე ობიექტზე დაფიქსირებული დარღვევები გამოსწორებულია, ამასთანავე, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს".

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-12 ნაწილით, 49-ე მუხლის „ა" პუნქტით, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-თ, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-თ, **დავადგინე:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, **მოქ. ზურაბ აზარიაშვილის** მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ, 2018 წლის 04 იანვარს მიღებული №4-1/დ3-18 №შ-1/18 დადგენილება;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე **მამუკა ჯაყელი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ დ 592-18

"26" 03 2018 წ.

დადგენილება №003241
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

26.03.2018წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 04 იანვრის №003241 მითითება და 2018 წლის 05 თებერვლის №003241 შემოწმების აქტი შედგენილი, **მოქ. ზურაბ აზარიაშვილის** (პირადი №01012003033, მის.: ქ. თბილისი, სევანის ქუჩა №10) მიმართ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 49-ე მუხლის „ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო დარღვევისათვის და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სევანის ქ. №10, №01.17.01.073.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მოქ. ზურაბ აზარიაშვილის მიერ, მიმდინარეობდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-თ გათვალისწინებული მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების დარღვევით, კერძოდ, მშენებლობის წარმოებისას განხორციელდა მომიჯნავედ, ქ. თბილისში, სევანის ქუჩა №6-ში, მდებარე საცხოვრებელი სახლის კედლის ჩამოშლა (საკ. კოდი №01.17.01.073.016).

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2018 წლის 04 იანვარს შედგენილ იქნა მითითება №003241, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 კალენდარული დღის ვადა სამართალდარღვევის გამოსასწორებლად, კერძოდ, სამართალდამრღვევს დაევალა ფერდის გამაგრების სამუშაოების წარმოება შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციისა და დასკვნის საფუძველზე, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა. აგრეთვე, სამართალდამრღვევს დაევალა მომიჯნავედ, სევანის ქუჩა №6-ში, მდებარე საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის განსაზღვრა საექსპერტო შეფასებით (დასკვნა) და ამ საექსპერტო დასკვნის შესაბამისი პროექტის შეთანხმება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის [illegible] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში [illegible] ნაკვეთის მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის წარმოდგენა.

პროექტის განხორციელებაზე. ამასთანავე, სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი უნდა იყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხს აგებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვისათვის. აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, მითითებით გათვალისწინებულ ვადაში, მშენებლობის დამკვეთის მიერ, სამსახურში კანცელარიის მეშვეობით, წერილობითი განცხადების საფუძველზე, წარმოდგენილ უნდა იქნეს სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მობილური ტელეფონის ნომერი, კვალიფიკაცია. განცხადებას ასევე უნდა ერთვოდეს აღნიშნული პირის პირადობის მოწმობის ასლი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი (დიპლომი), ასევე მისი წერილობითი განცხადება, რომ გაცნობილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-თ გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მისთვის ცნობილია იმ პასუხისმგებლობის თაობაზე, რაც მოცემული რეგლამენტის დარღვევის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში დადგება მშენებლობის დამკვეთის მიმართ.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 2018 წლის 05 თებერვალს შედგენილი №003241 შემოწმების აქტით დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის, 2018 წლის 26 მარტის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ობიექტის განმეორებით გადამოწმებისას დადგინდა, რომ მოქ. ზურაბ აზარიაშვილის მიერ შესრულებულია №003241 04.01.2018წ. მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, განხორციელდა ჩამოშლილი ფერდის აღდგენა და ამასთან წარმოდგენილია შესაბამისი საექსპერტო და საპროექტო დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოქ. ზურაბ აზარიაშვილის მიერ, გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სევანის ქ. №10, №01.17.01.073.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობაზე, უზრუნველყოფილ იქნა უსაფრთხოების წესების დაცვა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25 მუხლის მე-11 ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტებით **დავადგინე:**

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება **მოქ. ზურაბ აზარიაშვილის** მიმართ.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე **ბ. ...**